ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 112

ქალაქი ფოთი **,,12"** ივნისი, 2023 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბექა ვაჭარაძის სახით და მეორე მხრივ შპს აუდიტორული ფირმა **,,**ლაზიკა აუდიტი**"** (შემდეგში ,,მიმწოდებელი“) მისი დირექტორის მამუკა ზარანდიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: აუდიტორული მომსახურების შესყიდვა, კერძოდ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სალიკვიდაციო ბალანსის აუდიტორული დასკვნის შედგენა (დანართი N1-ის შესაბამისად).

2.2 შესყიდვის კატეგორია და კლასიფიკატორის CPV კოდი - 79200000-საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები, 79212000 - აუდიტორული მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **4900 (ოთხი ათას ცხრაასი)** ლარს.

3.2 დაფინანსების წყარო - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ფორმა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

4.2 მომსახურების გაწევის ფორმა: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ლარი.

5.2. ანგარისწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

8.1.1 გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 უზრუნველყოს გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.3.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
8.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.3,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა
10.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
10.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;
10.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
10.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
10.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.
10.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)
11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
11.2 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა ფორს-მაჟორული სიტუაცია (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი ან მსგავსი მოვლენები), თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელქტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონული ვერსია ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

13.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13.3 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი”

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
ს/კ N 215138143,
ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ბექა ვაჭარაძე

Poti City Municipality

Digitally signed by Poti City Municipality
Date: 2023.06.12 16:29:44 +04'00'

,,მიმწოდებელი”

შპს აუდიტორული ფირმა
,,ლაზიკა აუდიტი"
ს/კ N 400032674,
ქალაქი თბილისი მასივი ვარკეთილი
ზემო პლატო, 2 მკრ კორპ. 9 ბინა 102
სს ლიბერთი ბანკი, LBRTGE22
ა/ა GE63LB0113151906832000

დირექტორი
მამუკა ზარანდია

Mamuka Zarandia

Digitally signed by Mamuka Zarandia
DN: cn=Mamuka Zarandia, serialNumber=PNOGE-19001059180, givenName=Mamuka, sn=Zarandia, o=Citizen, c=GE
Date: 2023.06.12 15:59:09 +03'00'

დანართი N1

აუდიტორული მომსახურების შესყიდვა, კერძოდ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სალიკვიდაციო ბალანსის აუდიტორული დასკვნის შედგენა

ფასების ცხრილი

N	დასახელება	საერთო ფასი (ლარი)
1	შპს „ინფრასტრუქტურა 2008“ (ს/კ 215148695)	700
2	შპს „საბინაო მომსახურების სერვის-ცენტრი მობინადრე - 2000“ (ს/კ 215109932)	700
3	შპს „კომპლექსური სავაჭრო ცენტრი“ (ს/კ 215081408)	700
4	შპს „კომპიუტერული სტამბა“ (ს/კ 215084897	700
5	შპს „ქ.ფოთის კულტურისა და დასვენების პარკი“ (ს/კ 215102056)	700
6	შპს „ქ. ფოთის საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატი“ (ს/კ 215081079)	700
7	შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტი“ (ს/კ 215131569)	700
	სულ ჯამი	**4900**